საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 568

05 09 2017წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 07 აგვისტოს №480 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2017 წლის 04 სექტემბრის №1012049 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 07 აგვისტოს №480 ბრძანებაში და ბრძანების დანართის სახით დამტკიცებული „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

002364

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:
სამართალშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინატორი

თარიღი:/05.09.17/----------/ელენე ნიკოლაიშვილი/

შეთანხმებულია:
იურიდიული სამსახურის უფროსი

თარიღი:/05.09.17/----------/ნინო ბეგიაშვილი/

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის მენეჯერი

თარიღი:/05.09.17/----------/ეკატერინე ნაცვლიშვილი/

კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსი

თარიღი:/05.09.17/----------/ნინო ბერელიძე/

დირექტორის მოადგილე

თარიღი:/05.09.17/----------/თამარ მახარაშვილი/

ხელმოწერის თარიღი: /05.09.17/